

უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (II)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ნოემბრის თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 0.4%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 42 855 ერთეული შეადგინა. ა.წ. ნოემბერი 2010-2013 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახად ზრდით გამოირჩევა: 2010 წლის ნოემბერთან (31 773 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 34.9%-ით, 2011 წლის ნოემბერთან (36 733 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 16.7%-ით, 2012 წლის ნოემბერთან (39 218 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 9.3%-ით და 2013 წლის ნოემბერთან (42 664 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 0.4%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 7.6%-ით შემცირდა: კლება დაფიქსირდა როგორც პირველადი (8.2%-ით), ისე მეორადი (7.5%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის ნოემბრის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) დაფიქსირდა 1.019 დონეზე, რაც აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.014).

ამკარაა, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა უძრავი ქონების პირველადი (20.2%-ით), ხოლო გაიზარდა მეორადი (5.7%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის ნოემბრის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 6 929, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 35 926 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.626 და 1.159 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით შემცირდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: ა.წ. ნოემბერში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 83.8%-ს მეორადი, ხოლო 16.2%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენდნენ (2013 წლის ნოემბერში კი - შესაბამისად 79.7% და 20.3%).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა... ნოემბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა
ნოემბერი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	ნომბერი	
		2013	2014
რაოდენობა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	8 679	6 929
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	33 985	35 926
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	42 664	42 855
სტრუქტურა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	20.3	16.2
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	79.7	83.8
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	3.9	-8.2
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-4.9	-7.5
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-3.3	-7.6
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	9.1	-20.2
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	8.7	5.7
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	8.8	0.4
სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.784	0.626
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.096	1.159
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.014	1.019

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՉժԻՆՅՈՒ ՄՈՏԵԾՈՆ ԶՆԻԿԻՆՍ ԵԿՆԵՔՆԱՄՆՈՒԹՅՈՒՆ... 2010-2014

ԵԿՆԵՔՆԱՄՆՈՒԹՅՈՒՆ ԻՆՎԵՍՏԻՑԻՆԻ ՄՈՏԵԾՈՆ (ԵԿՏՈՒՄ)

